ცვლილება დამტკიცებულია

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის
აკადემიური საბჭოს მიერ ოქმი №08, 24.08.2022წ.

რექტორი, პროფესორი _____ მარინა ფერცხალავა

საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის

და კრედიტების აღიარების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

წინამდებარე წესი შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებისა და 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანების შესაბამისად და არეგულირებს შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის (შემდგომში „უნივერსიტეტი") საგანმანათლებლო პროგრამებთან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენისა და შესაბამისი კრედიტების აღიარების პრინციპებს, აგრეთვე ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პირობებსა და პროცედურას.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება

1. კრედიტების აღიარების მიზნით უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტი ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.

2. აღიარებას ექვემდებარება დაწესებულების იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.

4. თავისუფალი კრედიტების ფარგლებში დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით.

5. უნივერსიტეტი უფლებამოსილია აღიაროს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პირის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები აკადემიური უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების მიზნებისათვის.

6. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო კურსის დასახელებასა და კრედიტების რაოდენობას, სასწავლო კურსის აღიარება ხდება ავტომატურად. 2 კრედიტზე მეტი განსხვავების შემთხვევაში კრედიტების აღიარება ხდება სასწავლო კურსის სილაბუსის შინაარსის განხილვის საფუძველზე. კრედიტების აღიარებისას მხედველობაში მიიღება სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული სწავლის მიზნები და შედეგები, რის საფუძველზეც ხდება შესაბამისობის ან შეუსაბამობის განსაზღვრა.
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველი პირის ინტეგრირებული მოდულების აღიარებისას (საჭიროების შემთხვევაში) სტუდენტს შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგიით (OSPE, OSCE და სხვა) ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ინტეგრირებული მოდულის სილაბუსში შემავალი ყველა კომპონენტი.

7. საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის დადგენისა და აღიარებული კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე, დგინდება საგანმანათლებლო პროგრამის რომელი სემესტრიდან გააგრძელებს სწავლას სტუდენტი.

8. თუ დაწესებულება, რომელშიც სწავლობს მობილობის მსურველი სტუდენტი, იყენებს ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემასთან განსხვავებულ საკრედიტო სისტემას, მაშინ მობილობის მსურველი სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს დაწესებულების მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, სადაც აღწერილია უმაღლეს სასწავლებელში მიღებული საკრედიტო სისტემა და მითითებულია ამ სისტემის შესაბამისობა ECTS სისტემასთან.

უნივერსიტეტი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭება ხდება პირობითად, კურსის მოცულობას (საკონტაქტო საათებს) დაემატება დამოუკიდებელი მუშაობის საათები, მიღებული ჯამი გაიყოფა 25-ზე და დამრგვალდება მთელ რიცხვამდე.

9. შეფასების სხვადასხვა ქულათა სისტემების თავსებადობა: სტუდენტის შეფასების 100 ქულიან სისტემაზე 5-ქულიანი შეფასების პირობითი გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპის შესაბამისად:

- შეფასება 5 (ფრიადი) - პირობითად ჩაითვალოს A 91 (ფრიადი) შეფასებად.

- შეფასება 4 (კარგი) - პირობითად ჩაითვალოს C 71 (კარგი) შეფასებად.
- შეფასება 3 (დამაკმაყოფილებელი) - პირობითად ჩაითვალოს D 61 (დამაკმაყოფილებელი) შეფასებად.

ე.წ. „ჩათვლა" მიჩნეულ იქნეს მინიმალურ დადებით შეფასებად E 51 (საკმარისი).

10. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, არ შეიძლება აღიარებულ იქნეს სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის, გარდა დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის აღიარებისა.

11. ფაკულტეტი ადგენს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის და კრედიტების აღიარების დასკვნას, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღები ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამასთან და აღიარებული კრედიტების რაოდენობა.

მუხლი 3. ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარება

1. ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების სახელმწიფო აღიარება (შემდგომში – უმაღლესი განათლების აღიარება) გულისხმობს ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირის მიერ, რომლის სწავლის პერიოდი არ არის აღიარებული სახელმწიფოს მიერ სრულად/ნაწილობრივ, მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენას სახელმწიფოს მიერ აღიარებული შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

2. უმაღლესი განათლების აღიარების მიზნით, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილ განაცხადს თან უნდა ახლდეს ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი დოკუმენტი/ცნობა ან მათი ნოტარიულად დამოწმებული ასლი ამ დაწესებულებაში პირის ჩარიცხვის, ასევე ამორიცხვის ან სწავლის დასრულების თაობაზე და სწავლის პერიოდში გავლილი საგნების ნუსხა, მათი კრედიტების ან/და შეფასებების მითითებით.

3. უმაღლესი განათლების აღიარების წინაპირობაა პირის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. დაინტერესებული პირის განაცხადის წარმოებაში მიღების შემდეგ ცენტრი შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის განმცხადებელს სურს უმაღლესი განათლების აღიარება, უგზავნის განცხადებაზე თანდართულ დოკუმენტაციას.

5. ცენტრი შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების ჩართულობით უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებში გამოცდის ჩატარებას, რომლის მიზანია დადგინდეს, ფლობს თუ არა პირი შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული კომპონენტით გათვალისწინებულ კომპეტენციას. უნივერსიტეტიდან მიღებული დასკვნის საფუძველზე ცენტრი იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას: ა) აღიარებს ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირის მიერ მიღებულ უმაღლეს განათლებას; ბ) უარს ამბობს ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირის მიერ მიღებული უმაღლესი განათლების აღიარებაზე

6. განათლების აღიარების მსურველის გამოცდის ჩატარების წესი და გამოცდის თემატიკა, უნივერსიტეტის პოზიციის გათვალისწინებით, მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

7. დაინტერესებულ მხარეს გამოცდის შესახებ უნდა ეცნობოს მის ჩატარებამდე არანაკლებ 2 კვირით ადრე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ითხოვს გამოცდის უფრო მოკლე ვადაში ჩატარებას.

8. განათლების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებით განისაზღვრება განათლების რა ნაწილი იქნა მიჩნეული აღიარებულად. აღიარებული კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე სტუდენტს ეძლევა რეკომენდაცია სწავლა გააგრძელოს შესაბამისი სემესტრიდან.

მუხლი 4. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება

1. უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კვალიფიკაციის ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება მისი შესაბამისობა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მინიჭებულ შესაბამის კვალიფიკაციასთან. შესაბამისობა სწავლის შედეგებისა და მინიჭებული კვალიფიკაციის გათვალისწინებით შეიძლება დადგინდეს სწავლის პერიოდის განსხვავების მიუხედავად.

2. უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების მქონე სტუდენტი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს, უცხოეთში სწავლის პერიოდში მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების და მიღებული კრედიტების აღიარების შესახებ. სტუდენტის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს უცხოეთში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები და მათი ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანი.

3. უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტი ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათ-ლებლო პროგრამებთან პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის

შედეგების თავსებადობას და შეიმუშავებს დასკვნას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.

4. უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ კვალიფიკაციას ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებულ განათლებას აღიარებს სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

5. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე აბიტურიენტის ან სტუდენტის უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტის საფუძველზე იღებს უნივერსიტეტი.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე და ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.
2. წინამდებარე წესში ცვლილებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე გამოცემული რექტორის ბრძანების თანახმად.